ოქმი:**ო37.37221681**
თარიღი:**17/06/2022**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2022 წელი,

15 ივნისი

ქ. ოზურგეთი

11.00 -12 .00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილე ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მოადგილეები: ნ. გოლიაძე, ნ. ბოლქვაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 33-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. განაცხადა, რომ საკითხების განხილვის დაწყებამდე, თუ ეს წინადადება იქნება მხარდაჭერილი, საკრებულოში არსებული ფრაქციებიდან თითო წარმომადგენელს ექნება განცხადების გაკეთების უფლება. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომდგენელმა თ. ნიკოლაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მთელმა დასავლეთმა და ევროპამ აღიარა, რომ საქართველოში რუს ოლიგარქ ბ. ივანიშვილის მიერ ხორციელდება არაფორმალური ოლიგარქიული მმართველობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კი ინფრასტრუქტურული სამუშაოები იგეგმება იმ ლოკაციებში, სადაც ხელისუფლების

წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგალითად მიმდინარეობს ჯორჯიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, სადაც გურიის გუბერნატორი ცხოვრობს.

ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ კარგად გაეცნონ ევროპარლამენტის რეზოლუციას, იქ ნახსენები არ არის რუსი ოლიგარქი ბ. ივანიშვილი, რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მუნიციპალიტეტი მას მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს თანაბარზომიერად.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 33-ხმით.

დღის წესრიგი

34.1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-ს (ს/კ.437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33- ხმით

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ იკითხა-რა მოგებას მოუტანს ეს ლიკვიდაცია მუნიციპალიტეტს? რა თანხით ფინანსდებოდა იგი? ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“ თავმჯდომარემ ალ. ბურჭულაძე დაინტერესდა, როგორ გადაწყდება ტაქსების ლოკაციის ადგილების განსაზღვრის საქმე? ხომ არ იგეგმება პარკირების მომსახურების აუქციონზე გატანა? საკრებულოს წევრმა ხ. ცერცვაძემ იკითხა -ხომ არ იგეგმება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის შეძენა? პროექტის განხორციელების შედეგად, მოსალოდნელი ეფექტის შედარებითი ანალიზის პროგნოზული მაჩვენებლის ანალიზი ხომ არ არის ჩატარებული?

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს-იგეგმება ერთიანი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება, მიღებული შემოსავლები მოხმარდება მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებას, სატრანსპორტო მომსახურეობის გაუმჯობესებას, რეალურად შესაძლებელია 200 ათასი ლარის შემოსავლის მიღება. ტაქსების ლოკაციის, აუქციონის წესით მოსაკრებლის ამოღების და სხვა კონკრეტულ საკითხებზე იქნება ერთობლივი მსჯელობა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ თავის კითხვებზე ვერ მიიღო პასუხი, არ თქმულა რა მოგებას მიიღებს მუნიციპალიტეტი. ეს ორგანიზაცია გასაუქმებელი იყო. მისი აზრით პარკირების მოსაკრებელის ამოღება უნდა მოხდეს პირობიანი აუქციონის წესით. დაწესებულების გაუქმება ხდება პოლიტიკური ნიშნით, პარტია ქართული ოცნების მხარდამჭერების დასასაქმებლად.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განცხადა, რომ კარგია როცა ყველა პოლიტიკური ჯგუფი ეთანხმება ორგანიზაციის ლიკვიდაციას, რეორგანიზაციის მიზანია უკეთესი მომსახურების განხორციელება.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

35.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

21.3.„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33- ხმით

დარგობრივმა კომისიამ წარმოადგინა კომისიის დადებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

36.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

22.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33- ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. აროშიძემ დასვა შეკითხვა-რა თანხა გაიცემა ერთ ბენეფიციარზე? უპასუხეს-ზედა ზღვარია 15 ათასი ლარი.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

23.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33- ხმით

დარგობრივმა კომისიამ წარმოადგინა კომისიის დადებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

24.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბერის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33 ხმით

დარგობრივმა კომისიამ წარმოადგინა კომისიის დადებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების შემდეგ, გურიის რეგიონში და მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც მდინარეების ხეობებში ქვა-ღორღის ვანდალურ მოპოვებასა და გარემოს დაზიანების თაობაზე, განცხადება გააკეთა და მთავრობისაგან მკაცრი ღონისძიებების განხორციელება მოითხოვა საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი